სახალხო გაზეთი

№ 862 ოთხშაბათი, 3 აპრილი 1913 წ. № 862

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ფასიანი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შ მთხვევებში უფასო.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადიხადონ ნაწილობით **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა ყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:
1) **„სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან),
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

31 მარტს, **ქ. სოხუმში,** ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უგანათლებულესი

კნეინა ელენე ერასტის ასული შერვაშიძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა მეუღლე უგანათლებულესი **თ-დი გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძე.** დაკრძალვა პარასკევს, 5 აპრილს, მოკვის ეკლესიაში. 196

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 3 აპრილს, დიდ-მარხვის უკანასკნელი წარმოდგენა, სახ. სახ. არს. ქართ, სახ. წარ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილ იქნება მეორედ

დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან **გამცემი** 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

2) **უბედური დღე,** ვოდ. 1 მოქ. ვას. ბალანჩივაძისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: გოდერძი, მ. რგ. გოგოლაშვილი, ბ. კორინთელი, ა. კახელი, პიერეტტა, გ. ტანელი და ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: ნ. კავსაძე, ალ. მეტრეველი, გ. სვანელი, გ. ფრონისპირელი, ალ. შანშიევი, ნ. ჭანკვატაძე და შ. ხონელი. ✦ ადგილების ფასი 5—50 კ. **დასაწყისი სად 8 საათზე**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა** თანაშემწე **ნ. ჭანკვატაძე.** წრის ადმინ.

შემდეგი წარმოდგენა 20 აპრილს. 1094

ახალი კლუბი

ხუთშაბ., 4 აპრილს, ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის **მსახიობთა ამხანაგობის მიერ, წევრებისა, მუდმივ მოსიარულეთა და მათი ოჯახობისათვის** წარმ. იქნება **სოფოკლეს** ცნობილი ანტიური ტრაღედია

ედიპე მეფე თარგმანი კონსტ. ანდრონისა.

ტრაღედია დადგმული იქნება ცნობილ რეჟისორის **რეინტგარტის** გეგმით.

მონაწილეობს მთელი დასი, ხორო, ორკესტრი, ბრბო 100 კაცისაგან შემდგარი და მსხვერპლის შემწირველნი. მეორე ზარის შემდეგ თეატრში აღარავის არ შეუშვებენ. ✦ ადგილ. ფასი 20 კაპ.-დან მ. 20 კაპ.-მდე; ლოჟები თითო 2 მან., გალერეია ყველასათვის ხელმისაწვდომია. **დასაწყ. სწორედ სად. 9 ს.**

1092 რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.** ქართ, დრ. საზ. ადმინ.

პარასკევს, 5 აპრილს, ქ. ქუთაისში,

ცნობილი ვიოლონჩელისტი

ილიკო აბაშიძე

გამართავს **კონცერტს.** 1133

7 აპრილს, 1913 წ., შუადღის 12 საათზე, კავკასიის საიმპერატორო

სასოფლ.-სამეურნ. საზოგადოების სადგომში,

მოხდება **წლიური კრება**

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

განსახილველი საგნები: 1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში დაარსების დღიდან 1913 წლის 1 იანვრამდე; 2) 1912 წლის ხარჯების აღრიცხვა, 3) ხარჯთ-აღრიცხვა 1913 წლისა, 4) საზოგადოების ახალ წევრთა მიღება და 5) არჩევნები საზოგადოების საბჭოსი და სარევიზიო კომისიის ყველა წევრისა. 1128

ხუთშაბათს, 4 აპრილს,

მეორე კონცერტი

ცნობილ ვიოლონჩელისტის

სიპორასი.

ბილეთები იყიდება გ. ი. კერერის (გოლ. პროსპ.) მუსიკალურ მაღაზიაში. 193

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

პასხალიდის აბრეშუმის თესლი

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში, ბათუმში,** მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილება: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენად უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კანტორა** ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსასვლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 1079

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაკსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბესიკის ქ., № 23 (ვანოვის ქ. კუთხე).

ტელეფ. № 7—93. 97

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძსენიმის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი	**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი ნ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მაქულაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგ. სნეულებანი	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშვილოსნოსნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მაქულაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. სნეულ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1029

ბუფეტი „სატივო"

ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.

✦ **აზიური საჭმელები ახალის სანოვაგისა** ✦

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. **ფასები ძლიერ ზომიერია.** 1114

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.

ვოროზიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ, სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით. 1053

კბილის ექიმი ა. გ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი შ. ა. მიქელაძე. იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

არსდება

ტფილის. ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობ. გუნდი

მიხ. კავსაძის ხელმძღვანელობით. მიღება და ჩაწერა სულ მუდამ: კვირაობით, ოთხშაბათ. და შაბათობით, ჩერქეზიშვილის ანუ ავჭალის ქ., № 29, სად. 5—7 საათამდე. 1129

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ.** ქ. № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

სამტრედიაში

ექიმი ე. ქ. აბულაძე იღებს ავადმყოფ. ყოველ დღე, აგრეთვე **სწამლობს „606" და „914".** 1118

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩ., № 3, სახ. ვაბაშვილისა.

ექიმი ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.** ამ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ქართული პრესა

გაზეთ „დილა"-ში დაბეჭდილია ბ-ნ ხომლელის წერილი, რომლითაც იგი უსაყვედურებს ქართველ საზოგადოებას გიორგი წერეთლის მივიწყებას. თოთხმეტი წელიწადია ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა გიორგი წერეთელი და ჯერ არც ძეგლი დაგვიდგამს მის საფლავზე, არც მისი ნაწერები გამოგვიცია. ბ. ხომლელი დაწვრილებით აღნიშნავს გიორგი წერეთლის ღვაწლს, როგორც მწერლისას და მოღვაწისას, და ასე ათავებს წერილს:

„მის ნაწერებს ვერ დაივიწყებს ვერასოდეს ქართველი მკითხველი, ვიდრე მისი სახსენებელი არ გამქრალა დედამიწაზე. და ასეთი დიდი მწერალი, ჩვენი ხალხისთვის დიდად თავდადებული მოღვაწე, ნუ თუ ღირსი არ არის ძეგლისა, რომ იმისი სამარე დიდუბის სასაფლაოზე არ დაეკარგოს ქართველობას!?

მე ვიწვევ ყველას, ყველა წოდების, კლასის, წრის, ასაკის და სქესის ქართველებს, ყველას საერთოდ, ვისაც გულის ალაგას ქვა არ უდევს და გულით უყვარს თვისი ქვეყნის მოამაგეთა ხსოვნა, ნუ დაიშურებენ თითო-ოროლა გროშს და ქართულ რედაქციებში გაგზავნონ, რომ შედგეს საგრძნობელი თანხა გიორგი წერეთლის საფლავზე ძეგლის დასადგმელად.

აგრეთვე მოვაგონებ ქუთათურ წიგნების გამომცემელ ამხანაგობას, გიორგი წერეთლის ნაწერის გამოცემა, რომელიც დაიწყო ავტორის სიცოცხლეშივე, განაგრძოს და დასტამბოს ყველა მისი ნაწერები".

* * *

ბაქოელი „ჩვენი წყარო" სტირის, დასელების პრესსამ გზას გადაუხვიაო. ასეთ გადახვევად გაზეთს მიაჩნია ის გარემოება, რომ „ჩვენი პრესსა ნაციონალისტებთან პოლემიკაში ჩაება", ამასთანავე „წყაროელები" გვამცნობენ შემდეგს:

„ეს პოლემიკა გადასცდა საზღვარს და იმის მაგიერ, რომ ნაციონალისტები დაგვემარცხებინა, ჩვენ ხელი შევუწყვეთ იმას, რომ თვით ჩვენი მკითხველი მასსა რამდენიმედ მაინც ნაციონალისტური სულით გაიჟღინთა. ეს მოხდა, რა თქმა უნდა, ჩვენდა უნებლიედ"...

ცოტა ქვემოდ გაზეთი ამხელს:

„უკანასკნელ წლებში მთავარი საგანი, მუშათა პრესსის უპირველესი დანიშნულება, როგორღაც დაიჩრდილა და ჩვენ გამოვუდექით ჩვენი მოწინაღმდეგების თავისკენ გადმობირებას. გამოდიოდა, რომ მათ ვაწონებდით თავს თავისი ერთგულებით სამშობლოსადმი და გაოცებას ვძლეოდით, როცა ისინი არ გვიჯერებდნენ"...

ცოტა არ იყოს, საინტერესო მხილებაა და აღსარება,—საინტერესოა, „წყაროელებთაგან" იმის აღიარება, რომ მასსის პსიხიკა შეირყა, რომ თვით ატმოსფერაა გაჟღენთილი ეროვნულის სულის-კვეთებით. მაგრამ, მათი უბედურება ისაა, რომ მალე ინუგეშებენ თავს, მალე მოსძებნიან „სანუგეშო კონცეპციას". აი ახლაც: თურმე „ეროვნული სულის-კვეთება" აქ არაფერს შუაშია,—დასელები ემსახურებიან განსაზღვრულ კლასის ინტერესებსაო, მათი მოწინააღმდეგენი კი გაბატონებულ მბრძანებელ კლასსის ინტერესებსაო. ეროვნული დაჩაგვრაო და სხვა ამგვარი ჰანგები, განაგრძობს „წყარო":

„მხოლოდ ზედა პირია არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა, ანუ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოებისა. მოაშორეთ მათ ეს ზედაპირი და თქვენ ხელში შეგრჩებათ ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც დაყრდნობილია კლასსობრივ წინააღმდეგობაზე, უმრავლესობის ჩაგვრაყვლეფაზე და უმცირესობის ბატონობაზე. რა თქმა უნდა საქმეს ართულებს ჩვენში ზოგიერთი გარემოება, მაგ., ის, რომ ძლიერ ხშირად მყვლეფელ-ექსპლოატატორის როლში გამოდიან უცხო ეროვნებათა წარმომადგენელნი და გაყვლეფულის როლში კი, უმეტეს ნაწილად, ქართველი მუშები. ეს აიხსნება მით, რომ ქართველი ბურჟუაზია და ქართული კაპიტალი შედარებით მეტად სუსტი და განუვითარებელია. მორჩა და გათავდა".

როგორ მოგწონთ ეს „მორჩა და გათავდა"? ასე ადვილად იშორებენ თავიდან ჩვენი დასელები უძნელეს პრობლემებს. თვითონ კი, როგორც სწერენ, უბრუნდებიან ისევ მუშათა პრესსის უმთავრესს საგანს—მარქსიზმის თეორიულ შეგნებასა და ქადაგებას და სხვა... მაგრამ, ვაი თუ ცხოვრების ძალამ კიდევ ერთხელ „გადაახვევინოს მათ სწორ გზას"?..

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო** რედაქციას მოუვიდა სამძიმრის დეპეშები: ასტრახანიდან **ისიდორე რამიშვილისაგან** და **შალვა ელიავასაგან** მოსკოვიდან—**დალმათი და მალდავასაგან, ბაქოდან—მიხეილ ქუთათელაძისაგან.**

✦ **ხმ. ა. ი. მიტკევიჩმა** თავი დაანება ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისიის წევრობას, ხოლო ხმოსნებმა **ი. ნ. ხუნუნცმა, მარტიროსიანმა და ა. ნ. მილოვმა** თავი დაანებეს პენსიათა და შემწეობათა გამნაწილებელ კომისიის წევრობას.

✦ **ბაქოს ქალაქის მოურავი** ს. ს. ბიჩი ტფილისში ჩამოვიდა. 1 აპრილს ტფ. ქალაქის საბჭოს კრებას დაესწრო, ხოლო გუშინ ქალაქის ახალი სასალახო დაათვალიერა.

✦ **სტიპენდია.** ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 1,000 მან. შეიტანა. ამ ფულით უმაღლეს სას.

წავლებლებში ორი სტიპენდია უნდა დაარსდეს. მომავალში სტიპენდიებს ტფ. პოლიტეხნიკუმში გადმოიტანენ.

✦ **ექსკურსია ტფილისის და მის არემარეთა შესასწავლად.** კვირას, 7 აპრილს, საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქცია გამართავს ექსკურსიას ბავშთათვის. მსურველნი უნდა შეიკრიბნენ რედაქციის ბინაზე (დავითის ქუჩა, 2) დილის ცხრა საათისათვის. ექსკურსის მიზანია მთაწმინდის დათვალიერება. გზა-და-გზა მცოდნე ხელმძღვანელნი გამართავენ შესაფერ საუბრებს. ბავშვებს თან უნდა ჰქონდეთ საუზმე და თითო აბაზი ფული.

✦ **საბირჟო ცნობები.** 2 აპრილს შეთანხმება არ მომხდარა. სარგებლიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 70 კ., აძლევენ—85 მან. 45 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. აძლევენ—82 მან. 65 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მან., 50 კ., აძლევენ—77 მან. 75 კაპ.

✦ **ტრამვაი** 1 აპრილიდან დღეში ნახევარ საათით მეტს მუშაობს: უკანასკნელი ვაგონები ბოლო პუნქტებიდან თორმეტ საათის ნახევარზე გამოდის.

✦ 31 მარტს, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში **სალიტერატურო-სამუსიკო დილა** გაიმართა რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს აღსანიშნავად. დილაში მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა.

✦ **ფუნიკულერი** 1 აპრილიდან დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე მუშაობს.

✦ **მუშტაიდზე გზის გაყვანის** თაობაზე ქალაქის გამგეობა მოხსენებას ამზადებს საბჭოსთვის წარსადგენად.

✦ **ხორცის ნიხრის დარღვევისათვის** მე-9 უბანში სამართალში მისცეს ყასაბნი: ალექსი მანთაშევი, ნიკოლოზ ონიკაძე, საკ სულახიანცი, ტიგრან ყარაჯევი, მელიქ ყარაჯევი და ვასილ კოლაძე; მეთორმეტე უბანში შეუდგინეს ოქმები ყასბებს: ილია ინაძეს, ივანე მირზაშვილს, გიორგი ბიბილაურს, დარჩო ხაჯიბეგოვს, გიორგი ფეიქრიშვილს და გრიგოლ ეიპატიანცს.

✦ აღდგომის მეორე დღეს დიდუბის მოედანზე **ცხენების ჯირითი** დაიწყება, რომელიც ათ დღეს გასტანს. ყველა პრიზი 11,000 მან. შეადგენს.

✦ ბოლო ხანს **მტკვარმა შესამჩნევად მოიმატა.** ამის გამო პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, პოლიციელთა მორიგეობა მოაწყონ მტკვრის ნაპირებზე და ღონის-ძიებანი მიიღონ წყალში ხალხის დაღრჩობის წინააღმდეგ და სარდაფების წყლით ამოვსების თავიდან ასაცილებლად.

✦ ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, **„ტფ. კრუჟოკ“-ის შენობას** მესამე სართული დაადგას. ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიამ დაათვალიერა შენობა და აღიარა, რომ შენობა მესამე სართულის სიმძიმეს გაუძლებს. მესამე სართულის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა (40,000 მან.) შედგენილია.

✦ რედაქციამ მიიღო ლევან ივანეს ძე არჩვაძის მიერ ლავრენტი მგელაძის ობლების სასარგებლოდ მოკრეფილი ფული. შემომწირველთა სია: ლევან არჩვაძე 50 კ., ელანია არჩვაძისა 50 კ., ნესტორ სულაძე 50 კ., ნესტორ მესხი 50 კ., გიორგი ხუბულური 50 კ., ივანე მეტრეველი 20 კ., არტემ სუნდუკიანი 20 კ., არხიპო დოკვაძე 30 კ., სოლომონ სელიმაშვილი 40 კ., თამარა, შალვა და ივანე არჩვაძეები 60 კ., №№ 50 კ., მალანია 20 კ., მაქსიმე ქორია 50 კ., ოჰანეზ სარქისიანცი 30 კ., ჰაჯი-კარაპეტ არუთინოვი 30 კ. სულ 6 მანათი.

✦ სამართალში აძლევენ ტფილისის მცხოვრებს აბრამ ბაგრატლიშვილს, რომელმაც პოლიციელს ქრთამი შეაძლია.

საზოგადოებანი და კრებები

✦ 1 აპრილს კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს საგანგებო კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს **ლომბარდისა და სააუქციონო დარბაზის** მოქმედების გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა. კომისიამ საჭიროდ სცნო სააუქციონო დარბაზის სრულიად გაუქმება და მის ზოგიერთ ფუნქციის გადაცემა ლომბარდისათვის. ამის გარდა საჭიროდ სცნო ლომბარდის მოქმედების გაფართოვება, რაიც წესდების შეცვლას მოითხოვს. ლომბარდის ახალ წესდებისა და რეორგანიზაციის პროექტის შედგენა კომისიამ გ. ჯ. ჯაბარს მიანდო.

✦ ტფილისის საამშენებლო არტელი „კავკაზი“-ს წესდება უკვე დაამტკიცა გუბერნატორმა.

სასამართლო

✦ **სასალახოს რევიზიის გამო.** 1 აპრილს პირველ სამომრიგებლო განყოფილებაში გაირჩა საქმე სასალახოს აღმშენებელ მ. პ. ალაჯანოვისა და მოიჯარადრის ვახნიანსკისა, რომელთაც ხმოსანი ი. სულაბერიძე უჩიოდა, მექრთამეობა დამწამესო. საქმის გარჩევამ მთელს დღეს გასტანა. გათავდა შუაღამისას, 12 საათზე. ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი ვექილი მ. ო. გრუზენბერგი, ხოლო ი. სულაბერიძის მხრით იყვნენ: ნაფიცი ვექილი ი. მაჰავარიანი და ნაფიც ვექილის თანაშემწე ზელენსკი. ჩვენება ჩამოართვეს მრავალს მოწამეს. ა. ი. ხატისოვის ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ (ღამის 11 საათზე) ბ-ნმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ ახლა კარგად მესმის საიდანაც გავრცელებულა ქორი სულაბერიძის მექრთამეობის შესახებ და იმედი მაქვს, ამ დამნაშავეს აღმოვაჩენთო. დასასრულ მოსამართლეს სთხოვა ალაჯანოვისა და ვახნიანსკის წინააღმდეგ საჩივარი მოესპო. მოსამართლემ საჩივარი მოსპო.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** გორიდან ტფილისს დაბრუნდა.

კახეთის რკინის გზა

ეს-ეს არის დეპეშით მოვიდა ამბავი პეტერბურგიდან, რომ კახეთის რკინის გზის გამგეობასა და ამ გზის საქმეში ჩაბმულ ბანკებს ოფიციალურად წარუდგენიათ თვისი აზრი სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტისათვის, იყოს ცალკე კახეთის რკინის-გზა და მისი მართვა-გამგეობის საზოგადოება, თუ გადიქცევა ეს საზოგადოება კახეთ და სიღნაღ-ბაქოს გზების ერთ დიდ საზოგადოებადაო. (სიღნაღ-ბაქოს გზა და მის საქმეთა მართვა-გამგეობა ცალკე იყოს, კახეთის რკინის-გზისა ცალკეო.

ცხადია, რა შედეგი მოჰყვება კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობისა და ამ საქმეში ჩაბმულ ბანკების განცხადებას. ამ განცხადებით შესრულდება დიდი ნატვრა ჩვენი თავად-აზნაურობისა და ქართველ საზოგადოებისა, რომ კახეთის რკინის-გზის საზოგადოება და მისი მართვა-გამგეობა ცალკე ყოფილიყო. თავად-აზნაურობა, რასაკვირველია, მოვალეა განახორციელოს თავისი უფლება 550000 მანათის აქციების შეძენისა, რათა გადამწყვეტი ხმა კახეთის რკინის-გზის საქმეებში თავად-აზნაურობის ხელთ იყოს და ისე დაუწყოს მართვა მის საქმეებს, როგორც მოითხოვს ამას ინტერესები ქართველობისა და საზოგადოდ ჩვენის ქვეყნისა.

ეს იყო ჩვენი ნატვრა და ეს ნატვრა აგვისრულდა.

თ. დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

ტფ. ქალაქის საბჭო

1 აპრილის კრება.

კრება საღამოს 8½ საათზე დაიწყო ქალაქის მოურავის **ა. ი. ხატისოვის** თავმჯდომარეობით, რომლის წინადადებითაც საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ **ექიმ ს. ს. ისტამანოვის ხსოვნას.** ამას გარდა საბჭომ დაადგინა: 1) გვირგვინით შეამკოს განსვენებულის კუბო, 2) 660 მან. გადასდოს დასაფლავების ხარჯის დასაფარავად, 3) განსვენებულის სურათი დაჰკიდოს ალექსანდრეს საავადმყოფოში, რომლის ექიმადაც იყო განსვენებული, 4) საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატას განსვენებულის სახელი დაერქვას და 5) დაავალოს გამგეობას, რათა საბჭოს მოხსენება წარმოუდგინოს განსვენებულის ოჯახისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. განსვენებული ს. ს. ისტამანოვი საქალაქო სამსახურში 25 წელიწადს იყო.

გამგეობა საბჭოს წინადადებას აძლევს, 1500 მან. გადასდოს **საქალაქო აფთიაქის** შესაკეთებლად, რომელიც ამ ჟამად ფარმაცევტთა საზოგადოებას აქვს იჯარით აღებული. ირკვევა, რომ ფარმაცევტთა ამხანაგობა კარგად არ ასრულებს ქალაქთან დადებულ ხელშეკრულებას, ამიტომ საბჭო ადგენს: ამხანაგობასთან შეკრული პირობა გააუქმოს და აფთიაქი სხვა მოიჯარადრეზე გასცეს.

საკანდიტროების პატრონები თხოულობენ, ნება დართოს საბჭომ, რომ აღდგომის პირველსა და მეორე დღეს ივაჭრონ, დილიდან დაწყებული საღამოს 5 საათამდე. საბჭო თხოვნას არ აკმაყოფილებს.

ხანგრძლივ კამათს იწვევს **ხმ. გ. ზ. ქანანოვის განცხადება სასაფლაოების მოვლა-პატრონობის შესახებ.** ხმ. ქანანოვს უკანონოდ მიაჩნია მოქმედება სასულიერო წოდებისა, რომელიც სასაფლაოს ადგილებში მიცვალებულთა პატრონებს ფულს ახდევინებს, რადგანაც ქალაქს, მართალია, ადგილი სასაფლაოებისთვის აქვს დათმობილი, მაგრამ პატრონი მაინც თვითონ არისო. სასულიერო უწყებისა და ქალაქის უფლებები, გამორკვევა საბჭომ საიურიდიო კომისიას მიანდო.

სამხედრო-საცხენოსნო უბნების გამგეებად საბჭო ირჩევს: ი. ე ფურცელაძეს, ი. ა. ზაზეგაიკოს, ე. გ. ლომიძეს, ი. შ. იოსავას, ტ. გ. ტერნიკოლოსოვს, თ-დს ი. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვს და ს. ბ. იუზბაშევს. მათს კანდიდატებად: მ. ე. სამოდუროვს, [illegible], ი. ლ. ვლოხოვს და ვ. ტ. ალექსეევს.

ავლაბრის მე-5 გიმნაზიის საპატიო მზრუნველად საბჭო ირჩევს გამგეობის წევრს მ. ნ. ალაბეგოვს, ნაცვლად ხმ. ა. ს. ბაბოვისა, რომელიც მთავრობამ არ დაამტკიცა.

ქალაქის მოურავი ჯაჭვს იხსნის, მოურავის მოადგილეს აძლევს და თვითონ მიდის სასამართლოში სულაბერიძე — ალაჯანოვის საქმეზე, რომლის გამოც სასამართლოში მოწმედ არის დაბარებული.

კვლავ კამათს იწვევს საჩივარი ქალაქის იურისკონსულტად ნამყოფ გ. ზ. ქანანოვისა, რომელიც ქალაქის გამგეობამ სამსახურიდან დაითხოვა და რომელიც საქალაქო სამსახურისთვის 20,000 მანეთამდე თხოულობს. საბჭო ადგენს, საჩივარი საიურიდიო კომისიას გადასცეს.

ქალაქის მუშად ნამყოფს ედიშერ მათიაშვილს საბჭო 300 მან. დახმარებას უნიშნავს, წინააღმდეგ ხმ. ხუნუნცისა, რომელიც აცხადებს, არ ვენდობი ექიმების მიერ მიცემულ მოწმობას ავადმყოფობის შესახებაო.

კრება ღამის 11 საათზე თავდება. გამგეობის წევრნი და მრავალი ხმოსანი სასამართლოში მიეჩქარებიან, სადაც სულაბერიძე-ალაჯანოვის საქმე ირჩევა.

არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას

მეგობრებო! მაშ, აღარა გვყავს არჩილ ჯორჯაძე? აღარა გვყავს ჩვენი მოძღვარი, ჩვენი გამამხნევებელი არჩილი?

შეუბრალებელმა, სასტიკმა სიკვდილმა გამოგვტაცა იგი, დაგვაობლა?

ქართველ ერს მოსწყვიტა ვარსკვლავი მანათობელი, ვარსკვლავი ცისკრის წინამორბედი...

ისედაც ობოლნი დაგვაობლა, გული დაგვწყვიტა. რათა, რა შეჰშურდა ჩვენი? ნუ თუ ის, რომ ამ დუხჭირ დროში ის ერთად-ერთი იყო ჩვენი ლამპარი ანთებული, ჩვენი იმედი, ჩვენი სასო?

ნუ მეტყვით, აღარ გვყავს არჩილიო. ნუ გამაგონებთ—იგი სამუდამოდ დაგვშორებოდეს. მომატყუეთ რომ იგი კვლავ ცოცხლობს, ცოცხლობს არა როგორც უკვდავი სული—ეს ხომ თავის-თავად ასე იქნება — არა, მითხარით, რომ იგი კვლავ ცოცხლობს სიცოცხლით, როგორც ტკბილად მეტყველი ბრძენი არჩილი.

თქვენ სტირით, მეგობარნო! სიმართლე არ გსურთ დამიმალოთ. აღარ გვყავს არჩილი! მაშ ვინღა გვცეს ნუგეში?

ვინ გაგვამხნევოს?

ვინღა გასცეს პასუხი მოზღვავებულ მტერს... ვინ ამხილოს ის უბადრუკი ქართველი, რომელიც თავის წმინდა დიდებას აჰმხედრებია?

არჩილ! ჩემო ძვირფასო, საყვარელო მოძღვარო, არჩილ! რად დაგვტოვე მარტო შენი მოწაფენი. ერთხელ კიდევ გაგვაგონე შენი ტკბილი, მომხიბლველი ხმა. ნუ თუ შენი მოწაფენი მართლა სამუდამოდ ობოლ-ობლად დასტოვე, აღარა გვამცნობ-რა შენმა მეტყველმა ბაგემ?

არჩილ, არჩილ, სულზე უტკბესო!

იმ დროს, როდესაც გაზაფხული სიცოცხლეს ჰბადებს, ბუნება იღვიძებს და მრავალ-ფერად, თვალის წარმტაცად ლამობს საქართველოს ველმინდორი აღყვავებას, სჭკნება სიცოცხლე უძვირფასეს ყვავილისა,—საუკეთესო მამულიშვილისა. ვაი რომ მუხთალია წუთი-სოფელი, ვაი რომ დაუნდობელია საწუთრო!

მაგრამ სიკვდილი სრულიად ვერ სპობს სიცოცხლეს. მამულიშვილნო, ივერიის მომავალო თაობავ! მტკიცე ფიცით შევფიცოთ მის წმინდა სამარეს, რომ არჩილის აღთქმას არ ვუღალატებთ, რომ ჩვენ, მისი მოწაფენი, არჩილის გზას განვაგრძობთ. მან გვასწავლა, თუ როგორ ღირსეულ, შეგნებულ გუშაგად უნდა ვექმნეთ სამშობლოს, თუ როგორ უნდა ვდარაჯობდეთ დღეს დამცირებულს ერს —ქართველობას. დიაღ, მან გვასწავლა და მის მცნებას გულის სიმტკიცით უნდა მივსდიოთ, რათა მამული სამოთხედ გარდავაქციოთ, რომ მისი აჩრდილი დასტკბეს ერის ბედნიერებით. მისი სიცოცხლე ხომ ერს შესწირა.

მაშ, მივყვეთ მოძღვრის მაგალითს, განვაგრძოთ ერის საკეთილდღეოდ მის მიერ გაკვლეული გზა!

ა. შანშიაშვილი.

პოლიტეხნიკუმი და სომხური პრესა

„ჰორიზონი“ განსაკუთრებულის თავ-გამოდებით იცავს ნავთლუღს და თანა სცდილობს ჩრდილი მიაყენოს თავად-აზნაურობის განზრახვას, მათ მხოლოდ აჟიოტაჟი და „შოვინიზმი“ ალაპარაკებსო. საზოგადოდ უცნაური წესი დაჩემდა „ჰორიზონს“! ყოველთვის, როდესაც კი ქართველი საზოგადოება რაიმე მონაწილეობას მიიღებს ისეთს საქმეებში, რომლებიც რაღათაც სომხებს თავის საკუთრებად მიაჩნიათ, სომხური პრესა შოვინიზმზე დაიწყებს ლაპარაკს და უპირველესად ყოვლისა ამ შოვინიზმს ქართველებში აღმოაჩენს ხოლმე. ეს დაუსრულებელი განგაში ქართველების შოვინიზმზე მოსაბეზრებელია, მით უფრო, რომ მიზანს ვერ აღწევს და, პირ-იქით, ქართველებში ძალა-უნებურად ჰბადებს ეჭვებს, რომ თვით სომხური პრესა არ არის განკურნებული ამ სენისაგან.

აღსანიშნავია უპირველესად ყოვლისა თვით კილო წერილებისა. ამ დღეებში ჩვენს მკითხველებს გავაცანით „ჰორიზონი“-ს აზრი პოლიტეხნიკუმზე. „ჰორიზონს“ უკვირს, რად დაინტერესდა ასე ძალიან თავად-აზნაურობა პოლიტეხნიკუმის საკითხით. თავისი საქმეებისთვის თავი დაუნებებია და პოლიტეხნიკუმის საქმეების გამო კრებას კრებაზე მართავსო.

სწორედ მოგახსენოთ, უცნაურია ასეთი კილო წერისა! ვინ მიუსაკუთრა პოლიტეხნიკუმზე ზრუნვა ქალაქის თვითმმართველობას და რად უკვირს სომხების გაზეთს, რომ ქართველი თავად-აზნაურობა ტფილისის პოლიტეხნიკუმზე მზრუნველობას იჩენს? ეს ზრუნვა ქალაქის თვითმმართველობის მონოპოლიას არ შეადგენს და ამიტომ ყველას, ვისაც შეუძლიან დახმარების ხელი გაუწოდოს, კიდეც მოვალეა დაეხმაროს.

ვერ გაგვიგია ისიც, თუ რად ლაპარაკობს „ჰორიზონი“ ასე ბევრს თავად-აზნაურობის იდუმალ ზრახვათა შესახებ. განა არ შეიძლება ამ საკითხის განხილვა პოლიტეხნიკუმის ინტერესების თვალსაზრისით და განა მარტო ეს თვალსაზრისი არა კმარა იმისთვის, რომ უპირატესობა საბურთალოს მივსცეთ და არა ნავთლუღს? მაგრამ „ჰორიზონის“ დაუსრულებელი ფათური გულში და სურვილი რაღაც არ არსებულ ბოროტგანზრახვათა აღმოჩენისა ძალა-უნებურად გვაფიქრებინებს, რომ თვით „ჰორიზონი“, ალბად, ვერ განთავისუფლებულა უბნის პატრიოტიზმისაგან და ყველგან ასეთსავე პატრიოტიზმსა ჰხედავს.

იმერეთის სამეფოს უკანასკნელი დღენი

(1804—1810 წ.).

(შემდეგი *)

მეორე დღეს სოლომონი გორში მიიყვანეს, როგორც ტყვე. თავად აზნაურთ, რომლებიც მას ახლდნენ, მიალებინეს ფიცი და უკან, იმერეთში, დააბრუნეს, მხოლოდ ასი კაცი ამალა თან გააყოლეს ტფილისში.

ტფილისში მეფე სოლომონ თავად სუმბათაშვილის სახლში მოათავსეს და მიუჩინეს დარაჯები. სოლომონის დატყვევებამ ძლიერ დააფიქრა იმერეთის თავად-აზნაურობა. ახსოვდათ პოლკოვნიკ სიმონოვიჩისაგან ჯვარზე და სახარებაზე მიღებული ფიცი და დაპირება; მათ აშფოთებდათ ესე უსირცხვილოდ პირის ცვლა, მაგრამ რას იქმოდნენ. იმერეთის მიტროპოლიტთა კრებამ მთავარ-მართებელ ტორმასოვს სთხოვა სოლომონის იმერეთში დაბრუნება, მაგრამ ცივი უარი მიიღო. ტორმასოვმა მათ შეუთვალა: დღეიდან ისპობა იმერეთის სამეფო, იგი რუსეთს უერთდება და არსდება დროებითი მმართველობაო. სოლომონის დატყვევების საჩუქრად პოლკოვნიკ სიმონოვიჩს ღენერლობა ებოძა. მთავარ-მართებელს ეგონა, იმერეთის მეფის დატყვევების შემდეგ, იმერეთი დაწყნარდებოდა, მაგრამ მეტად მოსტყუვდა. არც სოლომონის დაჭერას დაუტკბია ტორმასოვისთვის მაინცა და მაინც გული. თავისუფლებას და თვითმართველობას მიჩვეული სოლომონის გული, აბა, როგორ აიტანდა ტყვეობას.

11 მაისს 1810 წელს, ღამით სოლომონი საპატიმროდან გაიპარა. მიუხედავად მისა, რომ საჩქაროდ იქმნა მიღებული ზომები სოლომონის დასაჭერად, ის სამუდამოდ გაუსხლტა ხელიდან რუსის მთავრობას.

სუმბათაშვილის სახლი, რომელშიაც დატყვევებული იყო სოლომონი, იდგა ავლაბრის ხიდის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა მხარეს. სახლის გარშემო გაშენებული იყო საუცხოვო ვებერთელა ბაღი, რომელსაც გარს ერტყა მაღალი ქვის კედელი. ბაღიდან გამოსასვლელი იყო მხოლოდ მარტო ერთი ვიწრო კარები. კარების ახლოს, ექვსი ნაბიჯის სიშორეზე, იყო ნახევრად დანგრეული მეჩეთი; ცოტა კიდევ იქით, მტკვრის პირად,—საჯინიბო.

მთავარ-მართებლის ბრძანებით მეფე სოლომონს ჩუმად ჰყავდა მიჩნეული დარაჯები. ბაღიდან გამოსასვლელ კარებთან დარაჯი იდგა. სუმბათაშვილს, როგორც სახლის პატრონს, ნაბრძანები ჰქონდა მიექცია ყურადღება მათთვის, ვინც შედიოდა და გამოდიოდა სახლიდან და წარედგინა მათი სია. მიექცია ყურადღება მეფის მოქმედებისათვის. დაღამების შემდეგ არავისა ჰქონდა ნება ბაღში და სახლში შესვლისა, გარდა მისი ამალისა. ტფილისის პოლიცმეისტერს თავ. ბარათაშვილს ნაბძანები ჰქონდა, დაენიშნა ქალაქის ორი დარაჯი და ერთი ასისთავი, რომლებთაც უნდა ემსახურათ მეფისთვის და აგრედვე ყურადღება მიექციათ, თუ ვინ შევიდოდა ან გამოვიდოდა მეფის ბინიდან. მზის ჩასვლის შემდეგ უნდა დაენიშნა სამი დარაჯი, რომლებთაც მოდარაჯე ჯარის კაცებისათვის უნდა ეჩვენებინათ, თუ ვის ჰქონდა სახლში შესვლის ნება და ვის არა.

მეფის ცხენები და აგრედვე მისი ამალისა ყველა საძოვრად გაშვებულნი იყვნენ მტკვრის გაღმა მხარეს მინდვრებში. პოლიცმეისტერის დაუკითხავად არავის ნება არა ჰქონდა ცხენები აქეთ ნაპირზე გამოეყვანა.

ყოველ დღე მეფის უნიშნავდნენ საგანგებო დარაჯებს და ერთ აფიცერს ორდინარცად.

მიუხედავად ასეთი სასტიკ ზომებისა, სოლომონმა მაინც მოახერხა ღამე ქუჩაში გამოსვლა და ტფილისიდან გაპარვა. რამდენიმე დღის წინად, სანამ მეფე გაიქცეოდა, მტკვრის გაღმა მხრიდან პოლიციის დაუკითხავად ოცი ცხენი გამოიყვანეს და ვერაზე მოამზადეს. წინა დღით კი როსტომ წერეთელმა და გიორგი ერისთავმა უბრძანეს ბიჭებს ღამით მეჩეთის ნანგრევთან მოეყვანათ ექვსი ცხენი. ქაქუჩა აბაშიძემ კი მოატყუა პოლიცმეისტერი, რომ ეს ცხენები მას სჭირდება მეფის ამალისათვის, რომელიც იმერეთს უნდა წასულიყო დროებით და თანაც უჩვენა რაღაც ქაღალდის ნაჭერი, ვითომდა როგორც ნებართვა მგზავრობისა კომენდატისაგან მიცემული. გაქცევის დღეს მეფის საგანგებო დარაჯად მიჩენილი იყო ხერსონის გრენადერის პოლკის სალდათები. ამ საღამოს მეფე სოლომონმა ავადმყოფობა მოიგონა.

ადრე იახშმა ქაიხოსრო წერეთელთან ერთად და ადრე დაწვა.

ღამის ათ საათზე ქაიხოსრო წერეთელი ჩუმად შევიდა მეფესთან და მოახსენა, ცხენები მზად არიანო. მეფის მოხუცმა მოსამსახურემ ტაბუკაშვილმა მეფეს მოართვა ძველი უბრალო ტანისამოსი. ეს ტანისამოსი ტფილისის მედუქნემ ბეჟან მურასოვმა ჩუმად მოუტანა მეფეს და სამაგიეროდ მისგან მეფის ტანისამოსი მიიღო. სოლომონმა გადაიცვა უბრალო ტანისამოსი, გაიმურა პირისახე, გაიდო მხარზე კოკა წყლისათვის და ქაიხოსრო წერეთლის ოთახიდან ბაღში გამოვიდა. ბაღში დარაჯებმა ორჯელ გააჩერეს სოლომონი, მაგრამ მან ორჯელვე მოატყუა, უთხრა, მეფის მსახური ვარ და მტკვარზე წყლისათვის მივდივარო.

დარაჯებმა ვერ იცნეს მეფე და ქუჩაში გამოუშვეს. ქუჩაში სოლომონს ელოდა ქალაქის დარაჯი იმერელი, რომელმაც მას ქალაქის გზა ასწავლა და ქალაქს გარედ გამოიყვანა. ქალაქის კარებთანაც მოდარაჯე ჯარის კაცებმა დააყენეს სოლომონი და ვინაობა ჰკითხეს, მაგრამ რადგანაც მას ქალაქის დარაჯი ახლდა, ამისათვის დიდი ყურადღება აღარ მიუქცევიათ, ქალაქს გარედ გაუშვეს. ქალაქის გარეთ მომზადებული იყო ცხენები და უცდიდნენ მეფეს ოთხი თავადი წერეთლები (მათ შორის იყო ერთი შვილი ზურაბ წერეთლისა), ორი ძმა ერისთავები, აბაშიძე და 23 ჩაფარი. მათ საყვარელი მეფე გულში ჩაიკრეს, ცხენზე შესვეს და გაიტაცეს. სოლომონმა მოჰყურცხლა იმერეთის გზით. 1)

სოლომონის გაპარვის დროს ტორმასოვი ტფილისში არ იყო. პირველი განკარგულება სოლომონის დასაჭერად მოახდინა ტფილისის გუბერნატორმა გენერალმა ახვერდოვმა. სოლომონს დაადევნეს ურიცხვი მდევარი, მაგრამ სოლომონი უკვალოდ დაიკარგა.

სოლომონის გაპარვამ მეტად დააღონა და გააჯავრა იმპერატორი ალექსანდრე I. პოლიტიკურ მიზეზს გარდა, მას ბრაზსა ჰგვრიდა ის გარემოება, რომ სოლომონმა გაქცევის დროს, სხვა ნივთებთან ერთად, უკუ აგდო და მიატოვა მისგან 1804 წელს ნაბოძები წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი, ძვირ ფასი ბრილიანტებით შემკული.

ალექსანდრე I სასტიკი ბრძანება გასცა, სოლომონის დასაჭერად. გენერალი როზენი სამხედრო სამართალში მისცა მისთვის, რომ მაშინ ტორმასოვი ტფილისში არ იყო და როზენი ყველაზე უფროსი იყო. და აგრეთვე უბრძანა, ყველანი, ვისაც კი ბრალი მიუძღოდა სოლომონის გაქცევის საქმეში, სასტიკად დაესაჯათ.

საქმის გარჩევის დროს გენერალი როზენი უდანაშაულოდ იცნეს და განთავისუფლეს; ტფილისის კომენდანტი მაიორი კობენი, ხუთი თვის ციხეში ჯდომის შემდეგ, სამუდამოდ სამსახურიდან დაითხოვეს. საგანგებო დარაჯის უფროსს პოდპორუჩიკს პოდსკოჩინს აფიცრობა აჰხადეს და ჯარში უბრალო სალდათად ჩარიცხეს. ტფილისის პოლიცმეისტერს თავად ბარათაშვილს ღირსება ჩამოართვეს და გადაასახლეს. თავადი ნონია სუმბათაშვილი, სამსახურიდან დათხოვის შემდეგ, დატუსაღებული იქმნა.

უმთავრესი დამნაშავენი,—პოლიციის ასის-თავნი ავთანდილოვი და პეხტელოვი, ათის-თავი ერივანსკი და მედუქნე ბეჟან მურასოვი დასჯილნი იქნენ სიკვდილით.

მეფის მოსამსახურეს მოხუცს ტაბუკაშვილს და დალაქს სალამიძეს სასამართლომ დაკუწვა გადაუწყვიტა, მაგრამ ტორმასოვმა ციმბირში გადასახლებით შეუცვალა. რაც შეეხება პოლიციის ასის-თავს თავად ფალავანდიშვილს, რომელსაც, ბრალად ედო მტკვრის გაღმა მხრიდან ცხენების გამოყვანა, სასამართლომ გაამართლა, მაგრამ, ტორმასოვმა ამ განაჩენს თავისი ხელით დააწერა: „აიკუწოსო“. 2)

ასეთი თავდადებით მიანიჭეს იმერლებმა თავისუფლება თავიანთ საყვარელ მეფე სოლომონს.

სოლომონმა მშვიდობიანად მიაღწია ახალციხის საზღვარს და 13 მაისს სოფ. კოტელში ამოჰყო თავი. ამ დროს იქ იმყოფებოდა ბატონიშვილი ალექსანდრე. სოლომონის გაქცევის ამბავი ალექსანდრემ საჩქაროდ აცნობა იმერლებს. „ღმერთმა გვიხსნა,—სწერდა ის ოტია ლორთქიფანიძეს, მეფე სოლომონი გამოექცა რუსებს ტფილისიდან და 13 მაისს სოფელ კოტელში მოვიდა ყველა თავად-აზნაურობით, რომლებიც კი მასთან იყვნენ“. 3)

ეს ამბავი ელვასავით მოედო იმერეთს და იმერლების სიხარულს სა-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 861.

1) Отношеніе генер. Тормасова графу Румянцову 25 мая 1810 г. № 69.

2) Дѣло Арх. окруж. штаба 1810 г. № 207. Потто т. II.

3) Письмо Царевича Александре Кн. Отія Лордкипанидзе 13-мая 1810 г. Потто т. II. стр. 110.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ სახიფათოდ და სრულიად უსარგებლოდ მიგვაჩნია ამ გზით სიარული და თვით „ჰორიზონსაც“ ვურჩევთ პირდაპირ საკამათო საგანზე ილაპარაკოს.

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ტფილისი მტკვრის ზევით იზრდება. ეს ზრდა ბუნებრივია. ნავთლუღი და ავლაბარი კი, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის თვითმმართველობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს, ვერ იზრდება. თითქმის ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გაშენდა ვერა, დიდუბე, საბურთალო. ხიდის გაკეთების შემდეგ ს ადგილები უფრო გაცხოველდება და უფრო მიიზიდავს მცხოვრებლებს ცენტრიდან. გარდა ამისა, საბურთალოს ადგილი ფართოდაა გაშლილი, მყუდროა. უბრალო შემთხვევა და ჟინიანობა არ არის, რომ სასწავლებლები ცენტრიდან ვერაზე გადადის. ამას მხოლოდ ის ვერ დაინახავს, ვისაც არაფრის დანახვა არა ჰსურს. მერე, ნავთლუღს წყალი არა აქვს, მაშინ, როდესაც საბურთალოზე წყაროებია, გარდა ამისა, იქვე ბლომად მოიძებნება მასალა შენობისათვის. შეიძლება გაიმართოს მშვენიერი აგურხანა და სხვა.

საბურთალოს ადგილი ქალაქიდან ორ-სამ ვერსზე მდებარეობს, ნავთლუღისა კი 6—7 ვერსზე. განსაკუთრებული ზომების მიღებაა საჭირო, რომ ნავთლუღმა მიიზიდოს მცხოვრებლები. მის ზრდას პოლიტეხნიკუმიც ვერ უშველის. პოლიტეხნიკუმს შეუძლიან რამდენადმე გამოაცოცხლოს ნავთლუღი, მაგრამ ქალაქის ბუნებრივ ზრდას წალმა ვერ დაატრიალებს და იგი სამუდამოდ გარიყული დარჩება ცენტრიდან. ამისთანა პირობებში შეუძლებელია ქალაქმა უყურადღებოდ დასტოვოს თავად-აზნაურობის უხვი შემოწირულება და ჩაებღაუჭოს ნავთლუღს, რომელმაც მხოლოდ იმიტომ წამოჰყო თავი, რომ სხვა საპოლიტეხნიკუმო ადგილი არ მოიძებნებოდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეხლა ხომ ეს დაბრკოლებაც ძლეულია!

არ. ჯ—შვილი.

სოფლის მეურნეობა და სტატისტიკა.

ჩვენი ერის არსებობის უმთავრესი წყარო არის სასოფლო მეურნეობა. თუ ამ დარგსაც აღარ მივაქცევთ ყურადღებას, ესეც მალე გამოგვეცლება ხელიდან და ბრძოლის ველზე სრულებით უიარაღოდ დავრჩებით. აი ამიტომ საჭიროა, კარგად გავიცნოთ ჩვენი სოფლის მეურნეობა, გავიგოთ მისი ავი და კარგი და იმ ნიადაგზე დავაყენოთ მეურნეობა, როგორსაც მოითხოვენ თანამედროვე პირობები.

რა რიგად უნდა შევისწავლოთ ჩვენი ხალხის მეურნეობა?

ევროპის დაწინაურებულმა სახელმწიფოებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება ხალხის მეურნეობის შესწავლას. მეურნეობას იქ ყოველ მხრივ იკვლევენ მრავალი კერძო პირნი, სხვა და სხვა საზოგადოებანი და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებანი. ამისთვის იქ დიდი ხანია შეუდგნენ სტატისტიკურ ცნობების შეგროვებას, რომლის საშუალებითაც ყოველ წლივ იგებენ მეურნეობის მდგომარეობას. ამ ბოლო დროს რუსეთშიაც სტატისტიკურ ცნობების შეგროვებას დიდი ყურადღება მიაქციეს. მთავრობა, რომელსაც თან და თან ურთულდება ხარჯების რიცხვი, და ეს ხარჯები-კი ხალხის ზურგიდან უნდა აიკრიფოს, იძულებული ხდება შეისწავლოს თავის ხალხის ეკონომიური მდგომარეობა, რომ გაიგოს თუ რამდენად შესძლებს ხალხი ხარჯების გაძლოლას. გარდა მთავრობისა, უფრო კარგად იკვლევენ რუსეთში ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას საერობო დაწესებულებანი. ამ მიზნისათვის ეს დაწესებულებანი დიდ ხარჯებს ეწევიან და სცდილობენ რაც შეიძლება ყოველ მხრივ შეისწავლონ ხალხის მეურნეობა. ამიტომ საერობო დაწესებულებანი, გარდა იმისა, რომ მათ ხშირად მუდმივი კორესპონდენტები ჰყავთ სხვა და სხვა კუთხეებში, დრო გამოშვებით ჰგზავნიან ყველა მაზრებში სტატისტიკოსებს და აგროვებენ ცნობებს მეურნეობის შესახებ.

სტატისტიკური ცნობები ყველა მსურველს უადვილებს ხალხის ეკონომიური ცხოვრების შესწავლას, ყველა მსურველს, რა დროსაც უნდა, შეუძლიან სტატისტიკური ცნობების საშუალებით გაეცნოს ხალხის მეურნეობას.

ჩვენში ამ გზით ხალხის ეკონომიური ცხოვრების შესწავლა ჯერ არ მომხდარა. არც მთავრობას და არც რომელიმე საზოგადო დაწესებულებას არ მოუხდენიათ სტატისტიკური ცნობების შეგროვება ხალხის მეურნეობის შესასწავლელად. ამიტომ მსურველს, ძალიან გულითაც რომ უნდოდეს გაიცნოს ჩვენი ხალხის თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა, არ შეუძლიან მიაღწიოს თავის მიზანს, რადგანაც ამისათვის საჭირო კარგი მასალა არ მოიპოვება. რასაკვირველია, ვერც ყველა მსურველს შეუძლიან დაიაროს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეები და ამ გზით გაეცნოს ჩვენი ხალხის მეურნეობას. სტატისტიკური ცნობები კი ყველას გაუადვილებს ხალხის ეკონომიურ ცხოვრების შესწავლას. აი, ამიტომ საჭიროა გვქონდეს ასეთი სტატისტიკური ცნობები.

მაგრამ, როგორ შევიძინოთ ასეთი სტატისტიკური ცნობები? მთავრობა, რასაკვირველია, ჯერ გვიან მიაქცევს ყურადღებას ამ გვარ საჭიროებას. მაშასადამე მთავრობის იმედი ჯერ-ჯერობით ტყუილი იქნება. არც საერობო დაწესებულებანი გვაქვს, რომ ამის იმედი მაინც გვქონდეს. მაშ, ჩვენი იმედები უნდა დავაყრდნოთ ისევ ჩვენ საზოგადო დაწესებულებებზე და კერძო ინიციატივაზე. იმედია, ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი, ადრე თუ გვიან, მიაქცევენ ყურადღებას ამ ფრიად სასარგებლო საკითხს.

ეხლა მე მინდა აღვნიშნო აქ ფრიად სასიამოვნო ინიციატივა ამ საკითხის შესახებ, რომელიც აღიძრა ქართველ სტუდენტთა შორის.

კიევის კომერციულ ინსტიტუტთან არსებულმა ქართულმა სამეცნიერო წრემ განიზრახა ამ ზაფხულს ანკეტის (სტატისტიკური ცნობების შეკრეფა) მოხდენა ქუთაისის გუბერნიის ორ მაზრაში (ქუთაისისა და შორაპნის მაზრები). ამ ანკეტის უმთავრესი მიზანია აღნიშნულ მაზრებში მევენახეობის და მეღვინეობის მდგომარეობის გამოკვლევა. ამასთან ერთად ანკეტა იკვლევს აღნიშნულ მაზრების საერთო ეკონომიურ მდგომარეობასაც. ანკეტა იკვლევს იმას, თუ რამდენი ქცევა მიწა აქვს მწარმოებელს, რა ითესება ამ მიწაზე, როგორი მოსავალი მოსდის, რა ეხარჯება მიწის დამუშავებაზე, როგორი ვენახი აქვს გაშენებული, როგორ ამუშავებს ვენახს, რამდენი მუშის ძალა სჭირდება მამულის დასამუშავებლად, ქირაობს თუ არა ამ მუშის ძალას, რამდენი საქონელი ჰყავს და სხვა მრავალი კითხვები, რომლებიც იკვლევენ საერთო ეკონომიურ მდგომარეობას. ერთის სიტყვით ამ ანკეტების საშუალებით მსურველს შეუძლიან დაწვრილებითი ცნობები მიიღოს აღნიშნული მაზრების ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

თუმცა ეს ანკეტა შეეხება ჩვენი ქვეყნის სულ მცირე ნაწილს, ორ მაზრას, მაგრამ პირველი ნაბიჯისათვის ესეც დიდ მნიშვნელოვანია. ეს პირველი ცდა იქნება და თუ ამ ცდამ გაიმარჯვა, მაშინ მომავალშიაც ამ მაგალითით შეიძლება ვისარგებლოთ და ნაწილ-ნაწილად მოვახდინოთ ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გამოკვლევა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ მომავალ სტუდენტების მუშაობას მრავალნაირი დაბრკოლებანი ელობება წინ.

საერთოდ, ანკეტის მოხდენა ძალიან ძნელია და ბევრ ხარჯებს მოითხოვს. ანკეტის მოხდენა განსაკუთრებით ძნელია ისეთ ადგილას, სადაც ხალხი ნაკლებად განვითარებულია და არ იცის ანკეტის მნიშვნელობა. ჩვენში ასეთი ანკეტა პირველად ხდება და შეიძლება ბევრმა ეჭვის თვალითაც შეხედოს, რადგანაც ხალხი დაშინებულია. ხალხს ეგონება, რომ ამ ანკეტას ახდენს მთავრობა ხარჯების გასაწერად. ამიტომ ანკეტის მომხდენლებს დიდი შრომა და ენერგია დასჭირდებათ თავიანთ საქმის შესრულების დროს. რათა მათ ეს შრომა გაუადვილდეთ, ამიტომ საჭიროა, ხალხი წინასწარ გაეცნოს ამ ანკეტის მნიშვნელობას და მიზანს. ამ მხრივ, პრესას დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიან. იმედია, ყოველი ინტელიგენტი ამ საქმეს ამ მხრივ დახმარებას აღმოუჩენს და პრესაც ეცდება მოუმზადოს მას ნიადაგი.

შალვა გოგებაშვილი.

ღვარი აღარა ჰქონდა. ალექსანდრე ბატონიშვილი ხალხს ასაჯანყებლად იწვევდა. არც მეფე სოლომონს ეძინა, ისიც თავისთავად შიკრიკებს გზავნიდა იმერეთში და ხალხს უწოდებდა.

„მე იმედი მაქვს თქვენი ერთგულებისა—სწერს სოლომონი ერთ ბარათში სოფ. ლოსიანთხევის მცხოვრებლებს, ვიცი არ დაზოგავთ თავს და სიცოცხლეს შესწირავთ სამშობლოს. არ მოიტყუებთ თავს ისე, როგორც ქართლელები, რომლებიც დღეს წითელ პარასკევს ხორცსა სჭამენ და ხოლციელად იტანჯებიან. პირველად იგინი მოატყუეს ოქროთი და ფიცით, დღეს კი მათ აღარ ახარებთ არც სიმდიდრე და არც თავიანთი სახლი. ღარიბ-ღატაკს გაურჩევლად, ყველას დღეს სამ-სამ მანეთს ახდევინებენ.

სახლების და ოჯახების გაუპატივრება ხომ მათ სულ ტანჯავთ და კლავთ. თუ რუსებმა დაგიმორჩილათ, თქვენი მდგომარეობა აუტანელი იქნება. ისინი, რომლებიც დღეს ფულს მოგცემენ, ხვალ საცხოვრებელს წაგართმევენ, დღეს პატივით მოგეპყრობიან, ხვალ-კი გააუპატივრებენ და ნამუსს ახდიან თქვენ ოჯახებს, რომლებიც ამ მხრით დღეს ყველა ხალხზე მაღლა სდგანან.

შეიძლება მე არაფერი სამსახური მიმიძღოდეს იმერეთის წინაშე, მაგრამ, მე მგონია, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი სიყვარულით და პატივისცემით ჯერ ჩემი გული არ გამძღარა. დარწმუნდით, რომ მე ჩემი სიცოცხლე უნდა შევსწირო იმერეთს.“ [1]

სოლომონის წერილები სისწრაფით ვრცელდებოდა ხალხში, მათ დიდის სიამოვნებით და ალტაცებით კითხულობდნენ იმერლები რომლებიც ახალ-რუსის მართვა-გამგეობას ვერ შესთვისებოდნენ და ყოველის ღონის ძიებით ცდილობდნენ ძველი მმართველობა აღედგინათ და დაებრუნებინათ საყვარელი მეფე.

17 მაისს 1810 სოლომონმა ერთი წერილი მიტროპოლიტ დოსითეის გამოუგზავნა ქუთაისში, რომელშიაც სწერს: „დავრწმუნდი თუ არა, რომ მე უნდა გადავესახლებინეთ რუსეთში, გული ჩემი აღივსო საშინელ ცეცხლითა და გოდებით, რომ მე უნდა სამუდამოდ დავშორებოდი იმერეთს. ყოველივე ამ ქვეყნიერ დიდებას მე ვარჩიე თქვენთან ყოფნა, თქვენთან სიხარული, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი, აი რისთვის გავბედე, გადავდე თავი და წამოვედი ტფილისიდან..... გარწმუნებთ და გეფიცებით თქვენ, რომ ვიცოდე, რომ ჩემი გადასახლება ბედნიერებას მოუტანს იმერეთს, მე დიდის სიხარულით მივიღებდი მას, ისე როგორც ეხლა თავი დავსდე და ისე წამოვედი ტფილისიდან ოლონდაც, რომ თქვენ არ დაგშორებოდით [2]“

სასტიკი ზომები იყო მიღებული იმერეთში იმის შესახებ, რომ როგორმე ხელი შეეშალათ და სოლომონის წერილები არ გავრცელებულიყო ხალხში. ყველა გზებს, რომლებიც ახალციხიდან მოდიოდა იმერეთში, დარაჯები ჰყავდათ მიჩენილი და თვალ-ყურს ადევნებდნენ. შიკრიკი კი, თუ ხელში ჩაუვარდებოდა მთავრობას, ციმბირში გადასახლებას ვერ ასცდებოდა, რომელი წოდებისაც უნდა ყოფილიყო. ვერასფერის ღონის ძიებით ვერ მოსპეს სოლომონისა და იმერეთის თავად-აზნაურების ურთი-ერთ შორის წერილების გზავნა. ღლითი-ღლე ხალხის მღელვარება იმერეთში ძლიერდებოდა. გენერალ სიმონოვიჩის საქმე კი ძლიერ ცუდად იყო. მისი ჯარი მთელ იმერეთში ნაწილ-ნაწილ იყო მოფენილი, მათ შორის ცნობის მიტან-მოტანა ძლიერ ძნელდებოდა. აჯანყებული იმერლები გზებს ყველგან ჰკრავდნენ. ერთი იმერელიც აღარ ჰყავდა სიმონოვიჩს თავისი მომხრე.

ივანობისთვის შუა რიცხვებში აჯანყებულმა იმერლებმა იწყეს აქა იქ თავის მოყრა და თავს ესხმოდნენ რუსის ჯარს და სწყვეტდნენ მათ, სადაც კი მოასწრებდნენ.

სოფელ ლოსიანთხევში, ქაიხოსრო აბაშიძის უფროსობით თავი მოიყარა ორმა ათასმა იმერელმა. მათ წინააღმდეგ სიმონოვიჩმა მაიორი კალატუზოვი გაგზავნა ორი როტით და ერთი ზარბაზნით. იმერლები მათ სოფ. საქაროს ტყეში ჩაუსაფრდნენ და მომავალ ჯარს უეცრად აუტეხეს სროლა. აქ ნახევარი ჯარი ამოელიტეს, მოკლულ იქმნა თითონ უფროსი კალატუზოვიც. 24 ივნისს მდ. ჯიშურას პირს იმერლები თავს დაეცნენ ქართლიდან იმერეთში მომავალ მაიორ კნიაჟევიჩის ჯარს, მოუკლეს 10 და დაუჭრეს 48 კაცი. ამავე დროს სოფელ ბალდადში წინ დაუხვდნენ სვირიდან ქუთაისში მომავალ კაპიტან სუხანოვის როტას და ათი კაცი მოუკლეს. 29 ივნისს სოფელ ტყაჯირში ამოსწყვიტეს 15 რუსის სალდათი. გარდა ამისა დღე არ გავიდოდა, რომ გზების დაზვერის დროს, თითო ოროლა ყაზახი რუსი სადმე არ დაეჭირათ და არ მოეკლათ.

(დასასრული იქნება)

ავქსენტი აბესაძე.

---

[1] Царя Соломона къ Лосiантхевцамъ 17-мая 1810 г. Потто т. II стр. 111.

[2] Письмо Соломона Кн. Кутатели-Митроп. Досифею 17 мая 1810 г. Потто т. II. стр. 111.

სომხური პრესა

გაზ. „ჰორიზონი“-ს მე-70-ნომერში დასტამბულია გაგრძელება იმ მეთაურ წერილებისა ტფილისის პოლიტეხნიკუმის შესახებ, რომელთა დასაწყისიც უკვე გავაცანით ჩვენს მკითხველებს:

„ქართველ თავად-აზნაურობას პოლიტეხნიკუმისათვის შეუწირავს 250 დეს. მიწა. ნავთლუღის „უდაბნო“ სრულებით უვარგისია პოლიტეხნიკუმისათვის. ერთად ერთი შესაფერი ადგილი საბურთალოა. ამავე აზრისანი არიან კავკასიის სკოლების მზრუნველი რუდოლფი და ქალაქის მხრივ წასული კომისია, ქალაქის თავის ა. ხატისოვის მეთაურობით. ამას მოითხოვენ როგორც ქალაქის, აგრეთვე პოლიტეხნიკუმის ინტერესები... ეს ამბები ხელოვნურად არის შექმნილი, რადგანაც, თუ საბურთალოს ამოდენა უპირატესობა აქვს როგორც ქალაქის, აგრეთვე პოლიტეხნიკუმის ინტერესების თვალთსაზრისით და ამასთანავე ერთად თანახმანი არიან მთავრობის წარმომადგენელი რუდოლფი და ქალაქის ინტერესების რწმუნებული ა. ხატისოვი, საკამათო აღარაფერი დარჩებოდა.

მაგრამ ასე არ არის. მიუხედავად ყველა ამ განცხადებათა, ადგილობრივი გაზ. „Закавказье“ სენსაციონურ ამბებს ავრცელებს მეტის ენერგიით.

ეს „დემოკრატიული“ გაზეთი ქალაქის ინტერესებს სხვა არაფერში ჰხედავს, თუ არა ქართველ თავად-აზნაურობის წინადადებაში, ამისათვისაც შემთხვევას არ სტოვებს, რათა დააქვეითოს ყველა ის პირები, რომლებიც ქართველ თავად-აზნაურობის აზრის წინააღმდეგნი არიან. დაე „ზაკავკ.“ განაგრძოს აყალ-მაყალი თავად-აზნაურთა სასარგებლოდ საზოგადო აზრის შესაქმნელად, ჩვენ-კი ვნახოთ, რამდენად გულწრფელია თავად-აზნაურობის მხრით ეს „შეწირულება“.

პირველ შეხედვისათანავე, ალბად, მრავალი გაკვირვებული დარჩა ქართველ თავად-აზნაურობის იმ დიად ენერგიით, რომელიც გამოიჩინა პოლიტეხნიკუმის საკითხში. ვითომდა იცავს ქალაქის ინტერესებს თავად-აზნაურობა, რომელმაც, მკაცრად რომ არა ვსთქვათ, ძალიან დიდი ინდიფერენტიზმი გამოიჩინა ქალაქის საქმეებში და ერთსა და იმავე დროს უნდობლობაც გამოუცხადა მის ეხლანდელ მესვეურებს.

დღეს კი კრებას კრებაზე ჰმართავს და ცდილობს ზომები მიიღონ, ვითომდა ქალაქის დასახმარებლად. თავად-აზნაურობა ცდილობს, პოლიტეხნიკუმისთვის გადადებული ნავთლუღის და ავლაბრის მიწები ქალაქს დარჩეს, რათა მან შესძლოს თავის მიწების გაყიდვით დაჰფაროს ის ხარჯები, რომელიც ქალაქმა უნდა გასწიოს. როგორი ყურადღებაა ქართველ თავად-აზნაურობის მხრით!

ჩვენის გაზეთის წარსულ ნომრებში ვრცლად შევეხეთ იმ საკითხს, თუ რა უპირატესობანი აქვს ნავთლუღს საბურთალოზე. მხოლოდ დაგვრჩენია ამ საგნის მთლიან დასურათხატებისათვის ოდნავ შევეხოთ იმ განზრახვებს, რომლებსაც ქართველი თავად-აზნაურობა ოსტატურად ფარდას აფარებს და ისე აჩვენებს, ვითომ ტფილისის მცხოვრებელთა და პოლიტეხნიკუმის სარგებლობისათვის ზრუნავს.

საკითხი განმარტებული იქნება, როდესაც ვიტყვით, რომ საბურთალოს მიწების პატრონთა რიცხვში უდიდესი ალაგი უჭირავთ თავად-აზნაურებს...

კოოპერატორთა საგუბერნიო კრების გამო

7-დან 11 აპრილამდე ქუთაისში მოხდება ქუთაისის გუბერნიის მომხმარებელი, საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა რწმუნებულების კრება. ჩვენ არ შევუდგებით აქ ასეთ კრების დახასიათებასა და მის მნიშვნელობის აღნუსხვას, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩვენშიც რამდენადმე უკვე ფეხი მოიკიდა კოოპერატიულმა ამხანაგობებმა და ადგილობრივი კოოპერატიული ცხოვრება აყენებს მრავალს საკითხს, რომელთა გადაწყვეტა ერთობ ძნელია ცალკე კოოპერატივებისთვის. ასეთი კითხვები შესაფერ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრებისგან, შეერთებულის ძალით. ამ საერთო საგუბერნიო კრებამ უნდა მოაწესრიგოს რამდენიმე ფრიად საყურადღებო პრაქტიკული კითხვა, როგორიც არის, მაგალითად: 1) კოოპერატიული კავშირის დაარსება, რომელიც ხელმძღვანელობას და დახმარებას გაუწევს ყველა ფორმის კოოპერატივებს, 2) ბეღლების დაარსება (зерно-хранилища), რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს მეურნეებს მუქთად არ დაჰკარგონ თავიანთი ნაშრომი; 3) მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის თესლის გამოწერა საუკეთესო ფირმიდან; 4) მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების გახსნა, რომ აქედან შესაფერი ნივთიერი დახმარება მიიღონ ჩვენმა კოოპერატივებმა; 5) საკითხები სოფლის კოოპერატივების ცხოვრებიდან და სხვ. ერთის სიტყვით, ყველა საგანი, რომელთაც კრება შეეხება, ფრიად საყურადღებოა ჩვენი კოოპერატივებისთვის და ამიტომ მათ უნდა ისარგებლონ შემთხვევით და აუცილებლად უნდა გამოგზავნონ რწმუნებულები. თითეულ ამხანაგობას ნება აქვს გამოგზავნოს 2 რწმუნებული გადამწყვეტი ხმით, ხოლო სათათბირო ხმით—სამი.

რწმუნებულებს უნდა მიეცეს გამგეობისგან რწმუნების ქაღალდი, რომლის ფორმას მოვათავსებთ შემდეგ ნომერში. კრებაზე წაიკითხება რამდენიმე საყურადღებო მოხსენება. მსჯელობა იწარმოებს ქართულ ენაზე. სასურველია, რომ კრებაზე გამოგზავნიდნენ შეგნებულსა და განვითარებულს ელემენტებს. ამასთან მოვაგონებთ კოოპერატივის გამგეებს, რომ რწმუნებულებად შეიძლება არჩევა მხოლოდ ამხანაგობის წევრებისა (სულ ერთია გამგეობის თუ საბჭოს წევრია ის თუ არა).

მაშ, კოოპერატორებო, შეუდექით ამ კრებისთვის სამზადისს! დაე, ამ კრებამ განამტკიცოს მტკიცე კავშირი ყველა კოოპერატივებსა და კოოპერატორებს შორის!. **ი. გ.**

ბატონ აკაკის წერილისა გამო

(წერილი რედ. მიმართ)

გაზეთ „თემის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ღრმად პატივცემულ ბატონ აკაკის წერილი ჩემი მოხსენების გამო, რომელიც მე წავიკითხე 17 მარტს ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებულ ეთნოგრაფიისა, ისტორიისა და ენათმეცნიერების საზოგადოების საჯარო კრებაზე შოთა რუსთაველის ცხოვრების დროის შესახებ. ამ მოხსენებამ, ჩემდა სამწუხაროდ, ცუდი შთაბეჭდილება იქონია ჩვენი საზოგადოებრივ აზრზე, რაიც გამოიხატა კიდეც რამდენიმე ჩემს წინააღმდეგ მომართულ წერილში ტფილისისა და ქუთაისის ქართულ პრესის მიერ. მაბრალებენ საუკუნეებით განმტკიცებულს და შესისხლხორცებულს წმიდა ტრადიციების დარღვევის სურვილს და ეროვნულ გრძნობის შეურაცხყოფას. ნამდვილად, რა საკვირველია, მე შორსა ვარ ამგვარ წადილებისაგან. მე ვმუშაობ და ვაზროვნებ ისე, როგორც ამას თხოულობს ჩემი შემეცნება ჩვენი ეროვნულ და მეცნიერულ ინტერესებისა. თავის თავად იგულისხმება, ამ მუშაობის დროს შეცდომა, და, ეგებ მძიმეც, ადვილად მოსასვლელია, მაგრამ მხოლოდ მრავალ ცდისა და შეცდომების საშუალებით შეიძლება ბოლოს და ბოლოს მივაგნოთ ჭეშმარიტების გზას. ამიტომაც თუნდ რომ ჩემი აზრი შოთა რუსთაველის შესახებ შემცდარი იყოს, მაინც ქართულ პრესის უმეტესი ნაწილის მიერ ჩემს წინააღმდეგ ატეხილ კამპანიის ხასიათი მე არ შემიძლია სხვანაირად მივიღო თუ არა უსამართლობად და გაუგებრობად. ასეთს მომენტში მით უმეტეს ძვირფასია ჩემთვის ასეთი დიდბუნებოვანი გამოსარჩლება გაზ. „თემის“ საშუალებით იმ პირისაგან, რომლის სახელი მისს სიცოცხლეშივე ჩვენი ხალხის სათაყვანებლად გამხდარა. მე ვერ ვპოვებ სიტყვას ჩემი გულითადი მადლობა მოვახსენო ბატონ აკაკის თავისს ავტორიტეტიან ხმის ამაღლებისათვის, ვიტყვი მხოლოდ, რომ მე დიდის სიამოვნებით ვემორჩილები დიდებულ მგოსნის წინადადებას საჯარო კამათის დანიშვნის შესახებ. ახლო მომავალში მე ვეცდები ჩემი მოხსენება შოთა რუსთაველის შესახებ საჯაროდ წავიკითხო და ვსთხოვ ყველა დამსახურებულს ჩვენი წარსულის პატივცემულ მკვლევართ და მუშაკთ კეთილ ინებონ და მობრძანდნენ მოხსენების შესახებ თავისი აზრის გამოსათქმელად*)

სარგის კაკაბაძე.

P. S. „სახალხო გაზეთი“-ს დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ პარასკევს 5 აპრილს დანიშნულია საჯარო კრება ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება—შოთა რუსთაველი და მისი თანამედროვე „კრიტიკოსები“. ამასთანავე ნათქვამია რომ ამ კრებაზე მეც ვიქნები მოწვეული, კამათში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა ამგვარი მიწვევა მე ჯერ არ მიმიღია, მაგრამ ამით ვაცხადებ, რომ მე არ ძალმიძს ყველასთან კამათის გამართვა ასეთ სერიოზულ კითხვის შესახებ და ამიტომ ბოდიშს ვიხდი ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საბჭოს წინაშე, თუ მათ მოსალოდნელს წინადადებას ვერ შევასრულებ.

სარგის კაკაბაძე

---

*) რადგანაც ბ-ნ კაკაბაძის შესახებ წერილები ჩვენს გაზეთშიაც დაიბეჭდა, საჭიროდ მიგვაჩნია შევიტანოთ შემდეგი განმარტება: ჩვენ ვუსაყვედურებთ ბ-ნ კაკაბაძეს არა იმას, რომ მისი რეფერატი შეურაცხყოფს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ძალიან სუსტად ასაბუთებდა თავის აზრს და ასეთის სიფრთხილით არ ეკიდებოდა თავის საგანს, როგორც ამას ნამდვილი მეცნიერული შრომა მოითხოვს. ასეთის კატეგორიულის მტკიცებისთვის საჭიროა სათანადო უცილობელი ფაქტებიც. ჩვენ მხოლოდ ეს აღვნიშნეთ. **რედ.**

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

1 აპრილი.

სალონიკი. ბერძენ-ბულგართა შერეულ კომისიის პირველი კრება მოხდა. კომისიამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი: რომელმა აიღო პირველმა სალონიკი, საბერძნეთმა თუ ბულგარეთმა.

სოფია. „მირი“ სწერს: ოსმალეთის უძლურება ომის გაგრძელებას შეუძლებლად ჰყოფს. მაგრამ ოსმალეთთან ბრძოლის დასრულება ბალკანეთის კრიზისს სრულიად ვერა სპობს: რუმინია-ბულგარეთის უთანხმოება ხელ-ახლად გამოიწვევს კრიზის. უთანხმოება უნდა მოისპოს საკითხის საჩქარო გადაწყვეტით, რაც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს.

სტამბოლი. საალყო მძიმე ზარბაზნები ბოსფორიდან ჩათალჯაში გადიტანეს.

სტამბოლი. ხმებია, 31 მარტს ბულგარებმა ჩათალჯასთან იერიში მიიტანეს ოსმალთა პოზიციის მარჯვენა ფრთაზედ. შეიქნა ფიცხელი ბრძოლა, რომელიც ეხლაც გრძელდება. ოსმალთა ცნობებით, ბულგარები ჩათალჯას პირდაპირ აშენებენ სიმაგრეებს და არხებსა სთხრიან.

ოფიცერთა დიდი ნაწილი, რომელიც სამხედრო სასამართლომ გაასამართლა, მათ შორის პოლკოვნიკი იუსუფ-რიზაბეი, ჩათალჯის ჯარში იმყოფება.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

1 აპრილი.

ბუქარესტი. დეპუტატთა პალატა. ლაპარაკობს კონსერვატორი ფლევა: ნებას არ მივცემთ გვირგვინს ჩვენით ითამაშოს,—სთქვა ფლევამ. მთავრობამ აღგვითქვა ჩვენ, რომ მხარის ხმა მთელ ევროპის მიერ იქნება მოსმენილი და ეხლა კი ხელთ შეგვრჩა შუამავლობა. ეს იმას ემსგავსება, რომ ამოღებულ ხმლით ხელში უმოქმედობდეს ადამიანი. ჩვენ ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მივცემთ ხმას. ლიბერალ ბრატიანოს ხარჯთ-აღრიცხვა ძალიან გაბერილად მიაჩნია, სახელმწიფოსთვის დიდი ბორკილებია მოხელეთა აუარებელი რიცხვი. განმარტებას იძლევა ფინანსთა მინისტრი მარგილომანი.

სოფია. დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გადასცეს ბულგარეთის მთავრობას პასუხი. სახელმწიფონი სიამოვნებით შეხვდნენ მოკავშირეთა განკარგულებას საომარ მოქმედების შეწყვეტის თაობაზე. დიდი სახელმწიფონი აძლევენ 4 მუხლზე პასუხს: პირველი მუხლი საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს; მეორე მუხლის გამო დიდი სახელმწიფონი მოაგონებენ, რომ ეგეის კუნძულთა ბედი დიდ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას ეკუთვნის და ამ მუხლის მიღება შეიძლება მხოლოდ შენიშვნით: დიდი სახელმწიფონი ზომებს მიიღებენ ზოგიერთ კუნძულის ბედის გადაწყვეტის შესახებაო. მესამე მუხლი: დიდი სახელმწიფონი მზად არიან შეატყობინონ მოკავშირეებს ალბანეთის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრები; რაც შეეხება სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებს, გადაწყვეტილების უმაღ-

ვე ეცნობებათო. მეოთხე მუხლი: საფინანსო საკითხების გადაწყვეტა მინდობილი აქვს ტეხნიკურ კომისიას პარიზში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ორივე მოპირდაპირე მხარეო.

ცეტინიე. „გლას ჩერნოგორცა“, განმარტავს-რა რუსეთის მთავრობის ოფიციალურ ცნობას, დასძენს, რომ არც ერთი დებულება ჭეშმარიტი არ არისო.

სტამბოლი მინისტრად ნამყოფნი ჯავიდი, ხალაჯიანი და ნაილი დაინიშნენ პარიზის საფინანსო კონფერენციის დელეგატებად.

ბერლინი. რეიხსტაგი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარმა იაგოვმა განაცხადა, რომ ამ ბოლო კვირას მშვიდობიანობის იმედები გაძლიერდაო. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დიდ სახელმწიფოთა პასუხს ბალკანეთის მოკავშირენი შეიწყნარებენო. სკუტარის საკითხმა თვისი სიმწვავე დაჰკარგაო. საქმის გამორკვევისთვის რუსეთის მადლიერნი უნდა ვიყვნეთო. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ჩერნოგორია დაემორჩილება ევროპის სურვილს. პეტერბურგის მოლაპარაკება რუმინია-ბულგარეთის დავის თაობაზე საკეთილოდ ბოლოვდება. გერმანია ენერგიულად მოითხოვდა რუმინიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რადგანაც გერმანიას რუმინიასთან მეგობრული განწყობილება ჰქონდა; გარდა ამისა რუმინია ბალკანეთის ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელიც არ ჩაება ომში. გერმანია მოითხოვს, რომ ომის ლიკვიდაციასთან ერთად დაიცვას თვისი სავაჭრო დ საფინანსო ინტერესები. ბალკანეთის სახელმწიფოები, გვაჩვენეს რა თვისი ეროვნული ძალა, ეცდებიან დაპყრობილ ადგილებში კულტურა შეიტანონ. ამ საქმეში გერმანია დახმარებას გაუწევს მათ. ოსმალეთი, თუმცა ძლიერ დაჭრილი, ღირსეულად გამოვა ბრძოლიდან და ჰპოვებს ფართო ასპარეზს, თუმცა აზიის საზღვრებში შეკვეცილს, თვის ძალათა გასაშლელად.

ბერლინი. იაგოვის განცხადების გამო ილაპარაკა სოციალისტმა ბერშტეინმა. იგი სიამოვნებით ეგებება ბალკანეთის სახელმწიფოთა განმანთავისუფლებელ ბრძოლას და წინააღმდეგია იმისა, რომ სილისტრია რუმინიას გადაეცეს. ბერშტეინი აღნიშნავს; გერმანიის ანტიპოლონური პოლიტიკა ხელს უშლის სლავიანთა და გერმანელების მეგობრულ განწყობილების განმტკიცებას და გერმანიას ასუსტებსო. ცენტრის წარმომადგენელი თავ. ლევენ შტეინი წინააღმდეგია პოლონელთა საწინააღმდეგო პოლიტიკისა. სიამოვნებით აღნიშნავს რუსეთის მინისტრის განცხადებას, თუმცა სინანულს გამოსთქვამს, რომ რუსეთმა ადრევე არ მოიმოქმედა ესაო. სხვა მოლაპარაკენი შეეხნენ სომხეთის საკითხს და სინანულს გამოსთქვამდნენ მის შევიწროვების გამო. მათ სომხეთის საკითხის აღძვრა დროის შესაფერად არ მიაჩნიათ, რადგანაც რუსეთს სომხეთის ხელში ჩაგდების საშუალება მიეცემაო.

გაზეთებიდან.

ჩერნოგორიის სანაპიროების ალყა.

საერთაშორისო ფლოტის უფროსმა, ინგლისის ადმირალმა სესილ ბერნეიმ 28 მარტს შემდეგი დეკლარაცია გამოსცა:

„ვაცხადებ, რომ ჩერნოგორიის სამეფოს სანაპიროებს, ანტივარის სადგურიდან დაწყებული მდ. დრინის შესართავამდე, ალყა აქვს შემორტყმული; ალყის ფარგალში შედის ყველა ნავთსადგური, ყურე, სანაოსნო, მდინარეების შესართავი და აგრეთვე სანაპიროს მახლობელი კუნძულები. ყველა გემი, რომელიც კი ალყის ფარგალში მოექცა, ვალდებულია 48 საათის განმავლობაში გამოვიდეს ზღვაში. ეს განკარგულება ეხება ყველა ეროვნების გემებს.

გამოიცა ჯავშნოსან „მეფე ედუარდ VII“-ზე 1913 წ. 28 მარტს“.

სერბიის ძალდატანება.

როგორც ვიცით, სერბია დამხმარე ჯარს უგზავნიდა ჩერნოგორიას სკუტარის ასაღებად, მაგრამ დიდმა სახელმწიფოებმა აიძულეს იგი უკანვე დაებრუნებინა უკვე გაგზავნილი ჯარი. მათ პირ და პირ განუცხადეს, თურმე, სერბიის მთავრობას: თუ არ დაიშლი ჩერნოგორიის დახმარებას, საერთაშორისო ფლოტი ალყას შემოარტყამს ალბანეთის მთელ სანაპიროს და სერბიის ჯარსა და მის სურსათს დაიჭერსო. ამას რუსეთმა დაუმატა, რომ, თუ სერბიის დაჟინების მიზეზით ავსტრიის ჯარი ნოვო-ბაზარის სანჯაყში შემოიჭრა, რუსეთი ხელსაც არ გაანძრევს სერბიის დასაცველად და მოქმედების სრულ თავისუფლებას მისცემს ავსტრიასო. ამ გარემოების მიხედვით სერბიამ ბრძანება გასცა, რათა უკანვე დაებრუნებინათ ის ჯარი, რომელიც საბერძნეთის გემებით სალონიკიდან ანტივარის ნავთსადგურისკენ მიემგზავრებოდა ჩერნოგორელების დასახმარებლად.

სკუტარის ნაცვლად.

სარწმუნო ადგილებიდან ინგლისური გაზეთი „პელ-მელ-გაზეთი“ იუწყება, რომ რუსეთმა და იტალიამ ჩერნოგორიის მეფეს ნიკოლოზს სკუტარის ნაცვლად 8.000.000 მანეთი შეაძლიესო. რუსეთმა სურვილი გამოსთქვა აგრეთვე, რომ მდ. ბოიანის შესართავთან ჩერნოგორიას დაეთმოს ნოყიერი ჭალები. ჰფიქრობენ, რომ, რადგან ჩერნოგორიას ამჟამად ძლიერ ესაჭიროება ფული, იგი უარს არ იტყვის რუსეთ-იტალიის წინადადებაზე და, მაშასადამე, სკუტარის კრიზისიც მალე მშვიდობიანად გათავდებაო.

სერბია და ჩერნოგორია.

რადგან დიდ სახელმწიფოებს არა სურთ ჩაერიონ დაპყრობილ ადგილების გაყოფაში მოკავშირეთა შორის, ამიტომ სერბიამ თვით განაცხადა სურვილი, რომ სკუტარის სამაგიეროს მე ავუნაზღაურებ მოძმე ჩერნოგორიასო. ბელგრადის მთავრობა ადვილად დათანხმდა ამ აზრს, რადგან სერბიის პოლიტიკოსთა აზრით, სერბიისა და ჩერნოგორიის სამეფოების სრული შეერთება ერთი გვირგვინით ახლო მომავლის საკითხია. ხმა დადის, რომ ჩერნოგორიის მეფე ნიკოლოზი უარს ამბობს ტახტზე და თავის უფლებას სერბიის მეფეს პეტრე ყარაგეორგიევიჩს უთმობსო.

კონტრიბუციის საკითხი.

პარიზიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთის მთავრობა დიდ ზომიერებას იჩენს საზოგადოდ მოთხოვნილებათა წარდგენაში და განსაკუთრებით კი სამხედრო საზღაურის საკითხში; წინანდელ მილიარდ ფრანკის მაგიერ იგი ახლა მხოლოდ 400 მილიონს კმაყოფილდება, იმ პირობით კი, რომ ოსმალეთის ვალიდან გადმოტანილი ნაწილი ამას არ აღემატოს.

თეატრი და ხელოვნება

ილ. აბაშიძის კონცერტი. პარასკევს, 5 აპრილს, ბ-ნი ილ. აბაშიძე (ვიოლონჩელისტი) გამართავს კონცერტს ქ. ქუთაისში. ტფილისში ბ-ნ ილ. აბაშიძის კონცერტმა ბევრი ხალხი მოიზიდა და ძალიან კმაყოფილიც დარჩა კონცერტით. ბ-ნი ილ. აბაშიძე წინადაც ჰმართავდა დროგამოშვებით კონცერტებს, უკანასკნელმა კონცერტებმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ იგი თანდათან ხელოვნდება და სერიოზული ამსრულებელი დგება. ქუთაისიდან ბ-ნი ილ. აბაშიძე რუსეთში მიდის კონცერტების გასამართად.

ბრ. ცერცვაძეს

(წერილი რედაქციის მიმართ).

იმ მედიატორეთ, რომელთაც უნდა გაარჩიონ ჩვენი ძველი დავი-დარაბა, თქვენ, ბ. ცერცვაძე, თავს ახვევთ ახალ საქმესაც, ესე იგი იმას, რომ ამათვე გაარჩიონ და გადასწყვიტონ, ვინ სტყუის ჩვენთაგან ყველა იმაში, რაც კი ჩვენის მხრით, ამ რამდენიმე დღის წინად, დაიბეჭდა პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე. თუმცა ეს ჩვენ ძველ პირობებში არ შედის, მაგრამ მე ამის წინააღმდეგი სრულებით არა მაქვს რა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მედიატორეთა კომპეტენციის გარეშე დარჩეს თქვენი პასუხისგება იმ შეურაცხყოფა-ცილისწამებაზე, რომლისთვისაც მე პასუხს მოგთხოვთ თქვენ სისხლის სამართალში, როგორც ეს უკვე დაგპირდით. გარდა ამისა, თქვენს უკანასკნელ წერილში რედაქციის მიმართ (№ 860) საკმაოდ გარკვეული არა გაქვთ რაოდენობა იმ ჯარიმისა, რომელსაც იხდით თქვენ, თუ დამნაშავე აღმოჩნდებით. თუ მე გავმტყუნდი, ვიხდი, თქვენის სიტყვით, ათას ას მანეთს ერთს, ჩვიდმეტ თუმანს მეორეს და ხუთას მანეთსაც მესამეს, სულ ას სამოცდა ჩვიდმეტ თუმანს. თქვენ რამდენსღა იხდით, ვის სასარგებლოდაც უნდა იყოს, თუ გამტყუნდით? იხდით, რასაკვირველია, ამდენსავე, ესე იგი 1770 მანეთს, რადგანაც ამას მოითხოვს მოდავე პირების უფლებათა თანასწორობა. თქვენ კი ეს რაოდენობა ორთავე პირის ჯარიმისა სწორედ არა გაქვთ თქვენ წერილში მოხსენებული.

ჩემის მხრივ მედიატორებად ვასახელებ: ნაფ. ვექილს **თ. ი. ა. ბარათაშვილს**, და კერძო ვექილს **ა. მ. ახნაზაროვს.**

ი. ნატროშვილი.

დეპეშები

(დეპეშათა პირ. ბიურ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

1 აპრილი.

ლვოვი. პოლონელთა ორი მიტინგი ზედიზედ მოხდა—საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგ ორი მოპირდაპირე ჯგუფის შეტაკება მოხდა. ააწიოკეს პოლონურ გაზეთების—„გაზეტა ვეჩერნა“-ს და „ვეკნოვი“-ს რედაქციები.

მადრიდი. მეფის მოკვლის განზრახვის დაწვრილებითი ცნობები: მეფე ცხენით ბრუნდებოდა პარადიდან; ესპანიის ბანკის შენობის მახლობლად უცნობი პირი მივარდა, მარცხენა ხელით ცხენის სადავეები დაიჭირა და მარჯვენა ხელით იძრო რევოლვერი. მეფემ ცხენი ყალხზე შეაყენა. იმ დროს, როცა ბოროტგამზრახველი შეეცადა ხელმეორედ გაესროლა, პოლიციელმა ბოროტგამზრახველი მიწაზე დასცა, მაგრამ ხელი ვერ შეუშალა და მან ოთხჯერ კიდევ გაისროლა რევოლვერი. ტყვია არ მოხვედრია მეფეს. როდესაც მეფემ დაინახა, რომ ბოროტგამზრახველი შეპყრობილია, შესდგა უზანგოებზე, სამხედრო სალამი მისცა და აღელვებულმა შეჰყვირა: „გაუმარჯოს ესპანიას“. ბრბო ალტაცებით მიეგება მეფის სიტყვებს და დიდის ზეიმით მიაცილა სასახლემდის. სასახლის წინა მოედანი ხალხით გაივსო და მანიფესტაცია მოახდინა. აივანზე გამოვიდნენ მეფე და მისი მეუღლე. დამნაშავის შეპყრობის დროს ხალხი შეეცადა თვითვე გასწორებოდა დამნაშავეს. დამნაშავემ შეპყრობის დროს დიდი წინააღმდეგობა გაუწია. იგი დაჭრილი არის ხმლით. უკანასკნელ ცნობებით შეიპყრეს ოთხი თანამონაწილე, მათ შორის ერთი ქალია. დამნაშავე რაფაელ სანხეს-ალეგრეა, ბარსელონიდან, ანარქისტულ მოქმედებისთვის საფრანგეთიდან იყო გაძევებული; ერთი თვის წინად იყო ჩამოსული მადრიდში, პარასკევამდის მუშაობდა სადურგლო სახელოსნოში.

მადრიდი. ალეგრემ განაცხადა, მონაწილენი არავინა მყოლიაო. ალეგრემ ციხეში საჭმელის მიღებაზე უარი სთქვა. იგი საჩქაროდ მოითხოვს დახვრეტას. შეპყრობილია ოთხი კაცი, მათ შორის ორი ქალია. ხელთ იგდეს ანარქისტთა სია.

რუსეთი.

პეტერბურგი. იუსტიციის სამინისტრომ, სათათბიროში წარსადგენად შეიტანა მინისტრთა საბჭოში პროექტი ადგილობრივ სასამართლოს რეორგანიზაციის კანონის განხორციელებისა.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106, საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8|7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4|3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6|5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 47 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 8|7, საღ. 5 ს. 28 წ

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ

ჯულფიდან: სახ № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 5 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 8 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 8, ღამ. 1 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს. სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტიანია, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები და 3 4.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) **პირდაპირი, საფოსტო** გ მი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს. 58 წ.
№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, საფ., **გარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამშ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“ საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პარ. დილ. 6 ს. 50 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 6 ს. 44 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—ყ. შ. ფომინა-ოხიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10, ტელ, 645).

ი. 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **ზ თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ, 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, გახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ამალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

განცხადებანი

ЖАСМИНЪ
ФЛОРИДА
ДУХИ
ПУДРА
МЫЛО
О-ДЕ-КОЛОНЬ
ПРОДАЖА ВЕЗДѢ
Т-ВО ПРОВИЗОРА
А. М. ОСТРОУМОВА

Метцль 148544. 1123

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღ
გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ა. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირ გიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახარონვი: 1—2 ს. ბავშვთა ში განი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, ბაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ლებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირ ია და ყელისა.
მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, ფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი ო. ვ. გეევსკაია-ენგელ სა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციე მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილი
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.
მექანიკური ნაწარმოები. 1

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მემოზრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

თევზეულობის მაღაზია
ს. ლ. ხუროშვილისა
პუშკინის ქუჩა ტელეფონი № 496.
ვყიდით:
საუკეთესო მარცვლიან **ხიზილალას, ცოცხალ თევზს** „ქიტკა“-ს ორა გულს, თართს, ტარაღანას, ლოქოს, მოხარშულ დოშს, ზურგიელს სხვა ყოველგვარ თევზებს და კონსერვებს.
ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში. 1127.

გამომცემლობა და
წიგნ-გაზეთების კანტორა
„იმერეთი“
ქუთაისში
ამით აცხადებს, რომ იგი შეუდგ
გიორგი ჭალადიდელი
(ძოჩაქიძის)
ნაწერების გამოცემას. წიგნს წამ ძღვარებული ექნება ბიოგრაფია **იონა მეუნარგიასი,** კრიტიკული განხილვა—**ივან ზომართლისა,** სურათი და ფაქსიმილე. წიგნი იქნება 200—250 გვ. და ეღირება ხელი მოწერით 10 შაური, ხოლო გამოცემის შემდეგ 15 შაური. ხელის მოწერა მიიღება ქუ თაისში კანტორა „**იმერეთში**“, **ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში გამომცემლობა „იმერეთის“ ყველა იმ აგენტებთან, რომლებიც გამოცხადებულია „თემ ში, „კოლხიდა“-სა და „დილა“-ში. **ისიდორე კვიცარიძე.** 1113

ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას
„ქვა-ნახშირის მოხრელები მაღაროებში“
ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.
დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინო დალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წი გნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთ ში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევა ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში** ნ. ჯანაშიასთან, **კაცკავში** მასწავლ. ბურჯანა ძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძი წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **ს იღნაღში**—ნიკო აბმეტელაშვილთან.
„**ქვა-ნახშირის მოხრელები მაღაროებში**“ „მომავლის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 11

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სა მრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილ ლა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრე თვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში
მოხარშული დოში, ზურგიელი,
და ყოველგვარი

ტფილისი, მუხრანის ქუჩა სტამბა „შრომა“.